საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 22 მარტი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 16

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122 ე მუხლის მე-5-ე პუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შეასახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლის თანახმად,

.

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს გასცეს სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:
ა) ქ. წალენჯიხა გამსახურდიას ქ. N7-ში შენობის მეორე სართულზე არსებული 160 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიდან 80 კვ.მ (უძრავი ქონების საკ.კოდი N47.11.43.041.01/500), წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 800 ლარით.

2.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია